პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი არმიელი

1 ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 კვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

182 (1177) | ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1926 წ. | (1177) 182

## ფართე გზა ჩვენ გაზეთს
### წითელ არმიელთა მასაში და მოსახლეობაში

ყველასათვის ცხადია და უდავო ის დებულება, თუ რა დიდ როლს თამაშობს ჩვენი გაზეთი წითელ არმიელების სამხედრო—პოლიტიკური აღზრდის საქმეში. ამის შესახებ ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს და განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. მარტო ის გარემოება, რომ დღეში 35 კორესპონდენცია მოგვდის ნაწილებიდან ნათლად ლაპარაკობს მასზე, თუ რამდენათ ახლო დგას წითელ მებრძოლთან ჩვენი გაზეთი. ხშირად მოგვდის წერილობითი საყვედურები, თუ რატომ უშვებთ გაზეთს კვირაში 2-ჯერ და არა სამჯერ ან ყოველდღიურად. ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, **რომ ამის მიზეზია უსახსრობა.** ამავე დროს ნაწილები ძალიან სუსტად ეხმარებიან თავის გაზეთს, მისი გამოწერის მხრივ. ჩვენი გაზეთის ტირაჟი მეტის მეტად მცირეა იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს. ხშირად ერთ ლეგიონზე 25—30 ცალი მოდის. განა ეს უმნიშვნელო რიცხვი საკმარისია მთელი ლეგიონისთვის? არავითარ შემთხვევაში. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „წითელ არმიელს“ არა ყველა წითელ არმიელი კითხულობს არა იმიტომ, რომ არ სურთ, არამედ იმიტომ რომ არ ყოფნით.

განა ეს დასაშვებია? ამ საკითხს ჩვენ კარგად უნდა ჩაუკვირდეთ.

ავიღოთ მეორე მომენტი.

სოფლად სულ რამოდენიმე ათეული ნომერი მიდის ჩვენი გაზეთისა და ეს იმ დროს, როცა ჩვენ წინაშე დგანან ფართე ამოცანები ტერალმშენებლობის და მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

ყოველივე ეს ჩვენი ნაწილების წინაშე აყენებს ამოცანას ფართედ გაავრცელოს ჩვენი გაზეთი, როგორც წითელ არმიელთა შორის, ისე მოსახლეობის შორის, განსაკუთრებით სოფელში.

როგორ? რა გზით?

სათანადო თანხები არ გვაქვს—იმართლებენ თავს ნაწილები. განა მარტო ლეგიონის თანხებზეა დამოკიდებული ჩვენი გაზეთის ტირაჟი?

სრულიადაც არა. სხვა გამოსავალიც არის.

**უმთ ვრესად - კოლექტიური ხელის მოწერა.**

სათანადო მიდგომით ამ საქმისადმი, საუცხოვოდ შეიძლებოდა კოლექტიური ხელის მოწერის ფართედ დაყენება. ჩვენი ნაწილის პარტორგანიზაციები და სამხკორ-ორგანიზატორები ნაკლებად იჩენენ ამ მხრივ თაოსნობას. მათ კი ბევრი რამეს გაკეთება შეუძლიათ ამ დარგში. რაც შეეხება სოფლად გავრცელებას ჩვენი გაზეთისა ამ მხრივ თაოსნობა უნდა აიღონ წერტზე და ტერრაიონებში მომუშავე ამხანაგებმა. ერთი სიტყვით კეთილი სურვილი და ენერგიული მუშაობა დიდათ წასწევდენ ჩვენი გაზეთის ტირაჟის ზრდას და მით ხელს შეუწყობდენ ახალგაზრდა წითელ არმიელების სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას და შეკრებათა შორის მუშაობასაც.

ჩვენ მოუწოდებთ ნაწილის პარტორგანიზაციებს და სამხკორ-ორგანიზატორებს დაუყოვნებლივ შეუდგენ ამ ამოცანის შესრულებას.

**1927 წელში ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ ყოველი წითელ არმიელი კითხულობდეს ჩვენს გაზეთს თითეულ ხუთ წითელ არმიელზე ერთი გაზეთ „წითელ არმიელი“ მიდიოდეს და დასრულდა იყოს იმ არ სოფელი საქართველოში, სადაც არ მიდიოდეს „წითელ არმიელი“. ეს უნდა შევასრულოთ ყოველ მიზეზ გარეშე.**

**პარტორგანიზაციებო და სამხკორ-ორგანიზატორებო, ეს თქვენზეა დამოკიდებული!**

## ფაშისტური გადატრიალება ლიტვაში.

ლიტვაში მოხდა გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში მოექცენ უაღრესად კონტრრევოლიუციონური ელემენტები ყოფილ მეფის ოფიცრის პლეხავიჩუსის მეთაურობით.

ლიტვა ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოა. ამას წინად მისმა ყოფილმა მთავრობამ დასდო ჩვენთან ხელშეკრულება ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ, რამაც დიდათ აალელვა ბურჟუაზიული მთავრობები, განსაკუთრებით პილსუცკი. ეს უკანასკნელი როგორც ვიცით ამ ბოლო ხანებში დიდის გააფთრებით სცდილობს ინგლისის იმპერიალიზმის კარნახით შექმნას მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტი ბალტიის განაპირა მდებარე ქვეყნებიდან. თუმცა ლიტვის ეხლანდელ ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა მთავრობის ხელშეკრულება ძალაში რჩებაო, მაგრამ, სამაგიეროთ, მისი მოქმედებები მოითხოვენ ჩვენგან ფხიზლად უთვალთვალოთ ჩვენ დასავლეთის საზღვრებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ გადატრიალებაში ურევია პილსუცკის ხელი და უფრო სწორად თუ ვიტყვით—ინგლისისა. როგორც სჩანს გადატრიალება დიდი ხანია მზადდებოდა; ამ რამოდენიმე თვეების წინად პილსუცკის „გასეირნებას“ ლიტვის საზღვრებზე უსათუოთ უშუალო კავშირი ქონდა ამ გადატრიალებასთან.

აქედან აშკარად და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიტვის ფაშისტებმა ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში გარედან დახმარებით, და არა თვით ლიტვის მოსახლეობის ფართე ფენებზე დაყრდნობით. ლიტვის მშრომელი მასა სასტიკი წინააღმდეგია ამ გადატრიალების; მისი სურვილია ძმურ დამოკიდებულებაში და კეთილ მეზობლურ განწყობილებაში იყოს საბჭოთა კავშირთან.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ლიტვის ახლად შემდგარ ფაშისტურ მთავრობამ ფარისევლურად განაცხადა წინანდელი მთავრობის მიერ ხელშეკრულების დაურღვევლობის შესახებ. ჩვენ მოხარული ვართ ამ განცხადების, მაგრამ ეჭვი შეგვდის მასში, რომ ის კეთილი სურვილებით არის ნაკარნახევი; რადგან ის ხელისუფლება, რომელმაც დაისახა მუშათა მოძრაობის და ბოლშევიზმის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა და სურს ლიტვა პოლონეთის ყურმოჭრილ მონად გადააქციოს, არ შეიძლება იყოს კეთილმეზობლური გრძნობებით გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ. და თუ დღეს ის აცხადებს, რომ ძალაში ტოვებს ხელშეკრულებას ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ, ამით მას სურს მოიგოს ლიტვის მუშების და მშრომელი გლეხობის გული, რომელსაც სურს ჩვენთან ძმური და კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

ევროპის მთელი ბურჟუაზიული პრესა სიხარულით აღნიშნავს ამ გადატრიალებას და აფასებს მას, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულს.

ყოველივე ეს გვიკარნახებს ჩვენ ცნობად მივიღოთ ლიტვის მთავრობის განცხადება და ამავე დროს მხედველობიდან არ გაუშვათ არც ერთი მისი ნამდვილი მოქმედება.

ჩვენ კი გვწამს, რომ უცხოეთის იმპერიალიზმის დახმარებით ძალით გაბატონებული ლიტვის ფაშისტური მთავრობა, ერთ მშვენიერ დღეს დამხობილი იქნება ლიტვის აჯანყებულ მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური ძალით.

—ე.

## ფაშისტური გადატრიალება ლიტვაში

### ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო სარდლობამ

### გადატრიალების მიზანია ბოლშევიზმთან ბრძოლა

### პოლონეთი თავს უყრის ჯარებს ლიტვის საზღვარზე

ლიტვაში მოხდა ფაშისტური გადატრიალება. ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო ოფიცრობამ.

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი გადადგა. ახალ პრეზიდენტად არჩეულ იქმა სმოტონა.

ახალი მთავრობის უფროსმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა წინანდებური რჩება.

**პოლონეთს არ მოსწონს**

პოლონეთის მთავრობას არ მოეწონა ლიტვის ახალი მთავრობის განცხადება სსრკ-სთან დამოკიდებულების შესახებ. პოლონეთი თავს უყრის საგრძნობ ძალებს ლიტვის საზღვარზე.

**რას ამბობს ევროპა**

ინგლისის ბურჟუაზიულ გაზეთების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ლიტვის ახალი მთავრობის განცხადება მოსკოვთან მშვიდობიანი ურთიერთობის შესახებ სარწმუნო არაა ვინაიდან ის ნათქვამია განგებ, თვალების ასახვევად.

**„გადატრიალების მიზანი“**

ახალი მთავრობის პირველი მეთაურის—ვალდემარასის განცხადებით გადატრიალება მოხდა იმიტომ, რომ ძველი მთავრობა არ სდევნ და ბოლშევიზმს. პროფკავშირები, ნათქვამია განცხადებაში, ასწავლიდენ თავის წევრებს სამხედრო საქმეს და იანვრისთვის აპირებდენ გადატრიალების მოხდენას ბოლშევიკურ ლოზუნგებ ქვეშ.

## ევროპის მტაცებლები და ჩინეთი

### ჩან-ძო-ლინი ახალ გეგმებს აწყობს

### ინგლისი აძლიერებს თავის ძალებს ჩინეთში

16 დეკემბერს კანტონის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ი ჩანი.

კანტონელები თითქმის უბრძოლველად იკავებენ პროვინცია ჩჟი-ცზიანს, ვინაიდან ადგილობრივი ჯარები უერთდებიან მათ.

სახალხო არმია განაგრძობს შეტევას ხენანის მიმართულებით.

**კანტონის ცნობის წინ**

იაპონიის გაზეთები იტყობინებიან, რომ კანტონის მთავრობას მალე იცნობს უცხოეთის სახელმწიფოები,—ინგლისი და იაპონია მაინც.

**ჩან—ძო—ლინი გეგმებს აწყობს**

ჩან—ძო—ლინი მიდის პეკინში, რათა შეადგინოს თავისი მორჩილი მთავრობა.

უ—პეი—ფუ ამტკიცებს, რომ ის დაამარცხებს კანტონის სახალხო არმიას საკუთარი ძალებით.

ჩან ძო—ლინი არ აპირებს მოლაპარაკებას კანტონთან.

**ინგლისს არ სძინავს**

ინგლისმა გააორკეცა სამხედრო გემების რაოდენობა ჩინეთის წყლებზე. მათ უკვე მიიღეს ბრძანება გაემგზავრონ დანიშნულ ადგილებზე.

## ესპანელების დამარცხება მაროკოში

ესპანეთის ჯარებმა მაროკოში სასტიკი დამარცხება იგემეს აჯანყებულ ტომებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ესპანელებს ბენი-გორფეს, ბენი-დიბრისა და ანჟერის ტომებმა.

## კაპიტალისტები აძლიერებენ მუშების შევიწროებას

### სიკლეტონში გაიფიცა 5 000 მთამადნელი

სიკლეტონში (ინგლისში) გაიფიცა 5 ათასი მთამადნელი. გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ მაღაროს პატრონებმა საუკეთესო ადგილები შტრეიკბეხერებს (გაფიცვის მოღალატეებს) მისცეს დღემდის მარტო იორკშირში არ მიუღია სამუშაო 30 ათასამდე მთამადნელს.

## საქართველოში.

**აბრეშუმის სახვევი ახალი ფაბრიკა**

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გახსნას აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა ჩოხატაურში, სადაც მეაბრეშუმეობა საგრძნობლად განვითარებულია.

**როდის გაიხსნება ზაჰესი.**

ზაჰესის სადგურის საზეიმო გახსნა და ტფილისისათვის დენის გადაცემა განზრახულია საქართველოს გასაბჭოების დღეს—25 თებერვალს.

**ღვინის ნაწარმოები.**

მთელ დასავლეთ საქართველოში სწარმოებს ღვინის და ღვინის ნაწარმოების დამზადება. ღვინის შესყიდვა მთავარ რაიონებში თითქმის დამთავრდა. ამ ჟამად სწარმოებს არაყის დამზადება.

## სამხკორთა ორგანიზატორების — საყურადღებოთ

1926 წლის 27 დეკემბერს დილის 10 საათზე გაზ. „წითელ არმიელის“ ბინაზე შესდგება ტფილისში მდგომ ნაწილების სამხკორთა ორგანიზატორების

### თათბირი

**დღის წესრიგი:** 1. მოხსენება ადგილებიდან, 2. მომავალი მუშაობა.

ადგილებიდან მომხსენებლებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებზე:

1. რაოდენობა სამხკორთა წრეების და მათი მუშაობა.
2. როგორია დაინტერესება ახალწვეულების და რა მიმართებით მიდის ის.
3. როგორია ხელმძღვანელობა.
4. რედკოლეგიების გადარჩევის შედეგები.
5. კედლის გაზეთების რაოდენობა, მათი შინაარსი და რა კომპანიები გაატარეთ.
6. რა რაოდენობით ვრცელდება გაზ. „წითელ არმიელი“
7. აკმაყოფილებს თუ არა გაზეთი მკითხველებს და რა უფრო აინტერესებთ.
8. პარტუჯრედების ხელმძღვანელობა.

ადგილებიდან მომხსენებლებმა უნდა წინასწარ დაამზადონ ფაქტიური მასალა და მომზადებული მოვიდენ თათბირზე.

თქვენს ნაწილიდან საჭიროა დაესწროს მხოლოდ ჯ. მ. ორგანიზატორი.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.

# ამხ. ვოროშილოვის სიტყვა

## მოსკოვის ოლქის მეთაურთა შემადგენლობასთან

ამ რამოდენიმე ხნის წინად რევსამსაბჭოს სხდომის შენობაში ამხ. ვოროშილოვმა მიიღო მოსკოვის სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც შეკრებილ იქნა საოლქო თათბირზე. მიღების დროს გაიმართა გაცხოველებული საუბარი წითელ არმიელთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხების გარშემო. ამხ. ვოროშილოვმა ჯამი გაუკეთი საუბრებს და საბოლოო სიტყვაში გაარკვია შემდეგი საკითხები:

### შემცირება და რეორგანიზაცია

რით იყო გამოწვეული შემცირება და რეორგანიზაცია (ცვლილება, გადახალისება)? ჩვენი სამხედრო ბიუჯეტის მეოთხედს ნთქავდა ჯამაგირები, ხოლო მატერიალური ბაზის (დასაყრდნობის) მოწყობას ჩვენ ვანდომებდით ნაკლებ თანხას, ვიდრე ჯამაგირებს. ეს არაა მიზანშეწონილი.

გარდა ამისა, თუ მოვიყვანთ შეფარდებას რიგისა და უფროსთა შემადგენლობის შორის, დავინახავთ, რომ ტერნაწილებში 1 უფროსი მოდის 10 რიგის მეომარზე, ხოლო კადრის ნაწილებში 1 უფროსი მოდის 5 რიგის მეომარზე. უცხოეთის არმიებში კი ერთი უფროსი მოდის 12 და ზოგან 18 რიგის ჯარისკაცზე.

დღეს, როცა ჩვენ გავათავისუფლეთ წითელი არმიიდან 16 ათასამდე მეთაური, ზემოთმოყვანილი შეფარდება მხოლოდ დაუახლოვდა ევროპის არმიებს, მაგრამ მათ კიდევ არ გასწორებია.

### მომჭირნეობის რეჟიმზე საერთოდ

რევსამხსაბჭოს ფიქრადაც არ მოსდის ის, რომ თითქოს ამხ. მეთაურებს მომჭირნეობის რეჟიმი ესმოდეს ისე, როგორც მიკლებარისიმე, რაც გამოიწვევს ნაწილების მდგომარეობის გაუარესებას. ასეთი „რეჟიმი“ არამც თუ არ გვწამს, ასეთი რეჟიმისთვის ჩვენ პასუხსაც მოვთხოვთ დამნაშავეებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომჭირნეობის რეჟიმი აგებულ უნდა იქნას საქმის გონივრულად დაყენების, საჭირო მასალების თავის დროზე დამზადების (არ უნდა შევიძინოთ, მაგ., თივა ზამთარში, როგორც ეს ერთ ოლქში მოხდა, როცა ის ღირდა 18 მანეთი, არამედ დავამზადოთ ზაფხულში, როცა ერთი ფურგონი 2 მანეთი ჯდება) და ზედმეტი ხარჯების შემცირების საფუძველზე.

ამას წინად მე ვნახე დასავლეთ ოლქში, თუ რა უანგარიშოდ იხარჯება ფული. საამშენებლო სეზონი უკვე გასულიყო, ხოლო ასი ათასობით ღირებულების საამშენებლო მასალა წვიმაში ლპებოდა და ნადგურდებოდა. ნიავდება თანხა, ყიდულობენ იმას, რაც საჭირო არაა, ყიდულობენ მაშინ, როცა არ უნდა იყიდონ.



მომჭირნეობის საქმეში ჩვენ ვერ მივიღეთ ის შედეგები, რაც უნდა მიგვეღო. ამაში დამნაშავეა არა მარტო ადგილებზე მომუშავეები, არამედ რამოდენიმედ ცენტრიც (ვსთქვათ, თავის დროზე ფულის მიუცემლობა). ყველაფერი ეს გვიკარნახებს ჩვენ ენერგიულად მოვკიდოთ ხელი, რომ საგრძნობ შედეგებს მივაღწიოთ.

### საბრძოლო მასალის დაზოგვის შესახებ

ვინც ამტკიცებს, რომ საბრძოლო მასალები ცოტააო, მართალი არაა.

ორი წლის განმავლობაში მე ვაწარმოებდი ამ საქმის შესწავლას და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ მეტად დაუზოგავად ვეპყრობოდით ვაზნებს სამოქალაქო ომის წლებში. ეს ითქმის ასევე ხდება ეხლაც სასწავლო სროლის დროს. მე მქონდა შემთხვევა შემემჩნევია დიდი დაუდევრობა. მისცემენ, მაგ., ლეგიონში ტყვიამფრქვევის ვაზნებს, დაიწყებენ სროლას, დახარჯავენ ერთ გასროლაზე, გაიხედავ—არც ერთი მოხვედრა, შეიკრიბებიან და მიდიან, ვითომც არაფერიაო. ასეთ მოპყრობას ომის დროს ვერ აიტანს ჩვენი სამხედრო ქარხნები, მე არ ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ რა დაჯდება ეს.

ადვილად ითქმება — მოგვეცით მეტი—უკეთესი იქნებაო. მაგრამ როგორ მოხდა სინამდვილეში? აძლევდენ ბევრს—ცუდად იყო საქმე, მისცეს ნაკლები და როცა მეტი ყურადღება მიაქციეს სროლას, —საქმე გაუმჯობესდა. აი დამახასიათებელი საბუთი:

ავილოთ ქვეითა ჯარი: 1925 წელში მოხვედრა უდრის 43 პროცენტს, ხოლო 1926 წელში, როცა ნაკლები რაოდენობის ვაზნა იქნა მიცემული, მოხვედრა ავიდა 55 პროცენტამდე.

ცხენოსანში: 1925 წ.—46,8 პრ. 1926 წ. - 53,2 პროც.

საბრძოლო მასალის გაცემის შემცირებამ ათეულ მილიონზე მეტი ეკონომია მოგვცა. ღირს თუ არა ეს იმათ, რომ ყურადღებით მოვეპყრათ ამ საქმეს? რა თქმა უნდა ღირს.

თუ რომ მე მოვიყვან სხვა ცნობებსაც, თქვენ კიდევ უფრო დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

### ერთუფროსობის შესახებ

მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა უფპოლიტშემადგენლობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს. იქ, სადაც ერთუფროსობა უკვე განხორციელებულია, მეთაურთა შემადგენლობამ უნდა დაამტკიცოს თავისი მუშაობით, რომ ერთუფროსობის პირობებში ნაწილების მდგომარეობა და პოლიტმუშაობა არავითარ შემთხვევაში არ უარესდება.

ერთიანი ნებისყოფის, ერთიანი ხელმძღვანელობის შემთხვევაში ნაწილების საბრძოლო უნარიანობა უფრო მაღლა უნდა იდგეს, იმიტომ, რომ პოლიტაპარატს ჩვენ არ ვასუსტებთ, მის მნიშვნელობას ჩვენ არ ვამცირებთ, არამედ ვცდილობთ დაუკავშიროთ პოლიტმუშაობა სამწყობროს და დაუკავშიროთ ერთიც და მეორეც ერთიან ორგანიზაციულ საწყისს.

### 1-ლ ქართულ მსრ. დივიზიის პარტკომისიის მუშაობიდან

# პარტ-დისციპლინის სადარაჯოზე

პარტკომისიები დივიზიის ნაწილებში შემოღებულია იმისთვის, რომ ჯეროვანი თვალყური ადევნოს ჩვენი პარტიის ნორმალურ ზრდას მუშათა და მშრომელთა მასის საუკეთესო ნაწილიდან. მასთან ის ფხიზელი დარაჯია, რომ ჩვენს პარტიაში არ შემოგვეპაროს მავნე და ჩირქის მომცხები ელემენტები. პარტკომისია თვალყურს ადევნებს და თითეულ კ. პ. წევრისაგან მოითხოვს პარტიის ეთიკის (ზნეობის) დაცვას. ვინც კ. პ. ეთიკას დაარღვევს კომისია მას მოუწოდებს წესრიგისა და გამოსწორებისაკენ, მხოლოდ გამოუსწორებლისაგან კი სწმენდს და სცხრილავს ჩვენს პარტიას.

ამას ემსახურება საერთოდ დივპარტკომისიები და ამას ემსახურებოდა და ატარებდა ჩვენი დივიზიის პარტკომისია თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

მიუხედავათ იმისა, რომ პარტკომისია თავიდანვე ყოველივე ღონისძიებას ღებულობს ჩვენს პარტიაში არ მოხვდეს არც ერთი არასასურველი და ზედმეტი ელემენტები კ.პ. რიგებისათვის. თითო ოროლა მათგანი მაინც ახერხებს ჩვენს პარტიაში მოკალათებას. მაგრამ მათი ყოფნა ჩვენს პარტიაში ძლიერ ხან მოკლეა. მუშაობის პროცესში ისინი ნათლად აშკარავდებიან და სამუდამოდ იცოცხებიან ჩვენი რიგებიდან. ამას მოწმობს ქვემო მოყვანილი ანგარიში იმ პირებზე, ვინც ვერ შესძლო ჩვენთან მუშაობა და ყოფნა მათი წვრილი ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ გადახრისა და ძველი ტრადიციის (ქეიფი, მუქთა ხორობა) გავლენისაგან გაუნთავისუფლობის გამო და სამუდამოდ იქნენ გარიცხული ჩვენი პარტიიდან როგორც ზედმეტი და უცხო ელემენტი კ. პ. რიგებისათვის.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პარტკომიის და ადგილებზე პარტ-ორგანიზაციების მუშაობა მიმართული იყო მათი გამოსწორებისაკენ, პარტკომისია პარტიიდან გამორიცხვას მიმართავდა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ე. ი. როდესაც აღმზრდელობითი მუშაობა აღარ იმოქმედებდა ამა თუ იმ ამხანაგზე.

საანგარიშო პერიოდში (ივლის-სექტემბერი) ავადმყოფური მოვლენა გამოიხატა: სიმთვრალეში 4 შემთხვევა, დეზერტირობაში — 2, სამხედრო დისციპლინის დარღვევა—1. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ავადმყოფურ მოვლენებს ბანაკობის დროს ჰქონდა უმეტესად ადგილი. პარტორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ და გამონახონ შესაფერი ბრძოლის ფორმები.

### ვინ იქნა და რატომ გამორიცხული

1. სოლომონ დავით ს ძე წიკლაური ყოფ. მოსამსახურე, ათის თავი № ლეგიონის კ. პ. წევრი 1925 წლიდან. წ. კ. მცოდნე. როგორც ავღნიშნეთ წიკლაური იყო ათის თავი, ის არ იყო უბრალო ახალ მოსული რიგის წ.არმიელი, რომ მას არ სცოდნოდა სამსახური, ის როგორც ათის თავი და მასთან კ. პ. წევრი უნდა ყოფილიყო მაგალითის მაჩვენებელი სხვა ამხანაგების სამსახურის ასრულებაში, მაგრამ სინამდვილეში კი თვით არღვევს სამხედრო დისციპლინას, მიიპარება სახლში და დეზერტირობდა 36 დღის განმავლობაში, რის შემდეგ უსირცხვოდ ბრუნდება ნაწილში, რომ შემდეგ კიდევ ჩაიდინოს უფრო მეტი სისაძაგლე. მაგრამ მას მიაბრძანებენ გამასწორებელ სახლში ერთი წლით, კიდევ მეტი პარტკომისიამ ის გამორიცხა პარტიიდან.

2) კალაძე მაქსიმე კონსტანტინესძე № ლეგ. ბიბგამგე. გლეხი, კ. პ. კანდიდატი 1925 წ. კალაძე, შემჩნეული იყო ლოთობაში, მას არა ერთხელ ქონია მიცემული წინადადება, მაგრამ რჩევა დარიგებამ მასზედ უნაყოფოდ ჩაიარა ის თვრებოდა კიდევ უფრო მიუტევებელ მომენტებში—მანევრების დროს, როდესაც წ. არმ. ყველა შემადგენლობიდან მოითხოვს სასტიკი დისციპლინის დაცვას და თავდაჭერილობას. ამ დროს ამხ. კალაძემ მუშაობის მაგივრად ხელი მიყო ლოთობას, რისთვისაც ის იქნა გამორიცხული პარტიიდან.

3) კვირიკაძე შალვა, კ. პ. წევრი 1925 წ. ემჩნეოდა სამსახურისადმი გულგრილობა. შემჩნეული იყო ლოთობაში. მას მიცემული ქონდა გაფრთხილება, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და პარტკომისია ბოლოს იძულებული გახდა კვირიკაძე გამოერიცხა პარტიიდან, როგორც გაუსწორებელი ელემენტი.

4) ბოკალია კირილე წ. არმ. კ. პ. კანდ 1925 წლიდან. შემჩნეული იყო დეზერტირობაში. პარტკომისიამ მას განუცხადა: დეზერტირს ალაგი არ აქვს არამც თუ კ. პარტიაში, არამედ საერთოდ წით. არმიაში და ჩამოართვა საკანდიდატო ბარათი.

### ჩვენი მომავალი მუშაობა.

მომავალი ჩვენი მუშაობა უნდა ავაგოთ მტკიცე და ურყევ საფუძველზე. ამის საუკეთესო საშუალება არის გამოვიყენოთ წარსული მუშაობის გამოცდილება. პარტკომისიებს და პარტორგანიზაციებს, რომ არ მოუხდეს ამა თუ იმ ამხანაგის პარტიიდან გამორიცხვა, დროს დაკარგვა და ხარჯის გაწევა, ამისათვის საჭირო არის წინდაწინვე იქნეს მიღებული ყოველგვარი ღონისძიება: ა) პარტიაში შემოსვლის მსურველი ამხანაგი ყოველ მხრივ იქნეს შემოწმებული და შესწავლილი თუ რას წარმოადგენდა ის დღემდე, რამდენად შეუძლია მას მომავალში ჩვენს რიგებში მუშაობა, დასთმოს თავისი პირადი „მე“ და ემსახუროს საზოგადოებას და ანაცვალოს მას თავისი ინტერესები. ბ) გაძლიერებული უნდა იქნას რეკომენდატორების პასუხისმგებლობა ამხანაგზე, დღემდის რეკომენდანციის მიმცემი ამხანაგები არავითარ აღმზრდელობითი მუშაობას არ აწარმოებენ იმ ამხანაგთან, ვისაც მისცა რეკომენდაცია, ის თავის მოვალეობას განსაზღვრავს მხოლოდ ანკეტაზე ხელის მოწერით. საჭირო კი არის რეკომენდაციის მიმცემი ამხანაგი სრულ პასუხისმგებლობას გრძნობდეს ამხანაგის ლენინიტურად აღზრდაში. გ) ვინაიდან შემჩნეულია, რომ პარტ. დისციპლინის დარღვევა სჭარბობს კ. პ. კანდიდატებში, ამისათვის საჭირო არის აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავება კანდიდატთა შორის.

ბოჯუ.

# წვევამდე სამხედრო მზადება.

(თეზისები მომხსენებლებისათვის).

1. შრომის ექსპლოატაციაზე აღმოცენებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს დარღვევის საქმეში, გარდა იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ვითარდებიან მისევე წიაღში, უდიდეს როლს თამაშობს დედამიწის მეექვსედ ნაწილზე განმტკიცებული მუშურ-გლეხური საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. კაპიტალისტური სახელმწიფონი, რომელთა გარემოცვაში იმყოფება საბჭოთა ქვეყანა, ბრძოლის ახალ მეთოდებს და უამრავ დიპლომატიურ ხრიკებს იშველიებენ, რათა შეაჩერონ შიგნით მოზღვავებული რევოლიუციონური ტალღები. გაამაგრონ ისტორიულად განწირული თავიანთი პოზიციები და დაამარცხონ პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ფართე სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყანა—დასაყრდენი მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისა, ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნების ზრდა, აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა მოსვენებას არ აძლევს გაუმაძღარ კაპიტალისტებს. ისინი ჩახლართული არიან წინააღმდეგობებში და გატაცებულნი იმპერიალისტური ზრახვებით მიაქანებენ კაცობრიობას ახალ იმპერიალისტური ომისკენ, ახალ სასაკლაოსკენ. სწორეთ ასეთ იმპერიალისტურ საფრთხისაგან უპირველეს ყოვლისა არ არის დაზღვეული საბჭოთა ქვეყანა, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს უშუალო საფრთხის წინაშე არ ვდგევართ.

2. ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ. ყოველი მუშა, ყოველი გლეხი, თუ ინტელიგენტი, რომელთაც თავიანთი ინტერესები დაუკავშირებიათ საერთო მშრომელებისა და საბჭოთა ქვეყნის ბედთან, უნდა დაინტერესდეს ჩვენი ქვეყნის ბრძოლის უნარიანობის გაზრდისა და მშვიდობიანი აღმშენებლობის დაცვის საქმით. მსოფლიო და სამოქალაქო ომების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მომავალი ომი ბრძოლის გარეშე არ დატოვებს არავის. ომიანობის მიხედვით ნავარაუდევი მუდმივი არმიის შენახვა მშვიდობიანობის დროს აუტანელ სიმძიმეთ დააწვებოდა ჩვენს სახელმწიფოს, შექმნიდა უდიდეს დაბრკოლებებს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში და დიდი ხნით მოსწყვეტდა მშრომელებს თავიანთ კერას.

3. უდიდესი მიღწევები სამხედრო ტეხნიკასა, ავიაციასა და ქიმიაში არამც თუ ქმნიან პირობებს მებრძოლ ადამიანთა რიცხვის შემცირებისას, არამედ ქმნიან უფრო ფართე სარბიელსა და შესაძლებლობას მრავალრიცხოვან ჯარების გამოყენებისა. ამის აშკარა დამამტკიცებელია ის ფაქტები, რომ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც ტეხნიკა ასე გიგანტიურათ ვითარდება, ჯარები არამც თუ მცირდებიან, არამედ აშკარათ თუ ფარულათ იზრდებიან. კაპიტალისტური სახელმწიფოები ჯარის გარეშეც ქმნიან სამხედრო სწავლების ორგანიზაციებს და რაზმებს (იტალიაში: „ფაშისტური რაზმები“, პოლონეთში: „მსროლელები“, „სამშობლოს ბრძოლის უნარიანობის კავშირი“ და სხვა).

4. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის აღმოცენების დღიდანვე წამოაყენა ლოზუნგი და არა ერთხელ მიმართა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს (გენუის კონფერენცია და სხვა) საყოველთაო განიარაღების შესახებ, მაგრამ ამის პასუხათ ისინი კიდევ უფრო ანვითარებენ სამხედრო ტეხნიკას და დღითიდღე ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტს.

5. სამოქალაქო ომებიდან მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასულ საბჭოთა ქვეყანამ ეკონომიური გამაგრების და შემდეგი გაფართოება-გაზრდის მიზნით შეამცირა თავისი ჯარი 560.000-მდე, რაიც მასზე მოსალოდნელ თავდასხმის დროს, რასაკვირველია, საკმაო არ იქნება. ამიტომაც შემოღებული იქნა ტერიტორიალური სისტემა, რაც საგრძნობლად აადვილებს ახალგაზრდობის მიერ სამხედრო ბეგარის მოხდას, რადგან ხუთი წ. განმავლობაში (რომლის დროსაც ცვალებადელი წითელარმიელი ირიცხება ტერნაწილში) ყაზარმულ სამხედრო მომზადებას ის გადის 8 თვეს თავის რაიონში ან მის მახლობლათ.

6. ბურჟუაზიული ქვეყნები თავის ჯარების მხოლოდ სამხედრო აღზრდას ისახავენ მიზნათ, ებრძვიან მათში ყოველგვარ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, რადგან საკუთარ ინტერესებში გარკვეული და პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული არმია, რომელიც იმავე მუშურ გლეხური ახალგაზრდობისაგან შედგება, მათ წინააღმდეგ მიმართავდა იარაღს. ჩვენში კი ქვეყნის თავდაცვის, მისი ბრძოლის უნარიანობის გაზრდისათვის უნდა მოხდეს ახალგაზრდობის, როგორც სამხედრო, ისე საერთო პოლიტიკური აღზრდა, რადგან მშრომელთა ინტერესების შეუგნებელი და პოლიტიკური გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდობა ვერ შექმნის იმ კოლექტიურ სულსა და ურყევ ნებას, რომელიც ასე საჭიროა მშრომელთა ინტერესების და ქვეყნის დასაცავად. ბურჟუაზიულ არმიებში კი საკმაო დიდი ვადაა ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდისათვის. ჩვენს ტერნაწილებში კი 8 თვე, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ აღზრდისათვის უეჭველად საკმაო არის. გარდა ამისა ჩვენი წითელი არმიის რიგების შესავსებათ საჭიროა გამძლე და ჯანმრთელი ახალგაზრდობა, რისთვისაც აუცილებელია ერთგვარი წინასწარი მუშაობა და ამიტომაც არის სწორეთ შემოღებული მშრომელთა ახალგაზრდობის წინასწარი მომზადება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეორე ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილება.

# „დენშჩიკი“

„დენშჩიკი“ ჩვენს წითელ არმიაში გინებაა. „დენშჩიკობის“ უმნიშვნელო მოვლენების წინააღმდეგაც კი ჩვენ სასტიკად ვიბრძვით.

მეფის არმიაში ის დაკანონებული იყო. შინა სამსახურის წესდებაში „დენშჩიკობის“ შესახებ რამოდენიმე გვერდი იყო დათმობილი. მოვიყვან აქ უფრო საინტერესო მუხლებს:

117. სალდათი, რომელიც ინიშნება ოფიცრის მოსამსახურედ, იწოდება „დენშჩიკად“.

119. „დენშჩიკი“ უშუალოდ ემორჩილება იმ პირს, ვისთანაც დანიშნულია და რომელიც მის მიმართ სარგებლობს დისციპლინარულ უფლებით თავისი თანამდებობის შესაბამად.

123. „დენშჩიკი“ ვალდებულია ემსახუროს ოფიცერსა და მის ოჯახს, დაიცვას მათი ქონება და აასრულოს ყოველი ოჯახური დავალება.

126. მოკლე ვადიან ან ხანგრძლივ შვებულებაში წასულ ოფიცერს „დენშჩიკი“ არ ჩამოერთმევა.

მოკლედ, „დენშჩიკად“ დანიშნული სალდათი სამსახურის განმავლობაში ხდებოდა მონა, რომლის ბატონ პატრონი იყო ოფიცერი. „დენშჩიკი“ სწმენდდა ოფიცრის ჩექმებს, სწმენდდა თავის ბატონის სიმთვრალის შემდეგ ნარწყევ იატაკს, გაჰქონდა თავისი ქალბატონის სიბინძურე ღამის ქურქლით, უვლიდა ძაღლებს. „დენშჩიკს“ უარი არ შეეძლო, ვინაიდან ოფიცერი სარგებლობდა დისციპლინარული უფლებით. ამ მხრივ ის მაშინდელ შინა მოსამსახურეზე 10 ჯერ უფრო უუფლებო იყო.

ადამიანის დამცირებას ჩვენს არმიაში ადგილი არ აქვს. ამის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ წითელ არმიელისთვის საჭიროა იცოდეს რა ხდებოდა წინად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ფრონტზე

## ლენკუთხეში გეგმიანი მუშაობა დაიწყო

**მე-3 ლეგ. არტ. დივიზიონი.**

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა დივიზიონის ლენკუთხეში წითელ არმიელთა კრება. მოსმენილი იქნა მოხსენება ლენკუთხის მუშაობის შესახებ. რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, როგორ უნდა იქნეს განაწილებული მუშაობა ლენკუთხის გამგეობის წევრებს შორის. მოხდა წითელ არმიელების ჯგუფებად დანაწილება. განაწილდა საუბრებისათვის საათები და სხვა. ჩატარებული იქნება შემდეგი საუბრები: 1. ჩვენი ცხოვრება, 2. ჩვენი პარტია, და 3. მეცნიერება ადამიანის სამსახურში. ზოგიერთებმა უკვე დაიწყეს საუბრები. ამ დღეებში კი სრულიად გაიშლება მუშაობა.

წითელ არმიელების მონდომება დიდია, რაც სრული საწინდარია იმის, რომ მოკლე ხანში საკმაო ცოდნით აღიჭურვებიან ამხანაგები.

**ივ სიგუა**

## სკოლის გარეშე მუშაობა გამოცოცხლდა

**1 ლი ცალკე მესანგრე ასეული.**

აღნიშნულ ნაწილში საგრძნობლად გამოცოცხლდა სკოლის გარეშე მუშაობა. საღამოობით ეწყობა სხვა და სხვა სათამაშოები, სადაც მთელი წითელ არმიელთა შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. ამ დღეებში ჩატარებული იქნა პოლიტაუქციონი. სადაც გათამაშებული იყო 15 სხვა და სხვა შინაარსის წიგნები. წითელ არმიელთა შემადგენლობაში ამ თამაშაა დიდი დაინტერესება და შეჯიბრება გამოიწვია.

წიგნები შეფასებული იყო შემდეგ ნაირად: 8 ცალი წიგნი საბჭოთა ხელისუფლებად, 4 წიგნი ინგლისის გაფიცულ მუშათა მდგომარეობად, 2 წიგნი ჩინეთის ხალხის მდგომარეობად და 1 წიგნი იტალიის ფაშიზმად. ამათ ფარგლებში გაიმართა დიდი კამათი, რომელმაც გასტანა 3 საათი. წითელ არმიელებს დიდი დაინტერესება ეტყობოდათ, ემზადებიან მომავალი თამაშობისათვის.

**გ. კაკელია.**

## მეცადინეობა ნორმალურად სწარმოებს

**ცხენ ლეგ. 2 ესკადრონი**

ახალწვეულების მოსვლის პირველი დღეების განწყობილება უკვე საქმიან მუშაობაში ჩამოყალიბდა ჩვენს ყაზარმაში. დაიწყო ესკადრონში სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა. არც ერთი წუთი არ იკარგება უსაქმოდ. შესვენების დროს გაზეთების და წიგნების კითხვაში ატარებენ ახალწვეულები. ზოგიერთი კი იმეორებს სამხედრო საქმეში გავლილ გაკვეთილებს, რომლებიც დიდათ აინტერესებთ მათ.

ეს იქედანაც ჩანს, რომ პირველ ხანებში სანამ სამხედრო მეცადინეობა დაიწყებოდა ნაწილში, ახალწვეულები თავისი სურვილით ძველი წითელ არმიელების დახმარებით ეცნობოდენ შაშხანებს, მათ აგებულობას და ხმლის ხმარებას.

ჯერ-ჯერობით გადიან ცხენების შეკაზმვას და მათი მოვლის წესებს. მალე დაიწყება თვით ცხენებზე ვარჯიში, რასაც დიდი ინტერესით მოელიან ამხანაგები.

**გ—რი.**

## ახალწვეულთა მუშაობიდან

**2 ე ლეგიონი**

ჩვენი ლეგიონის ახალწვეულებში უკვე დაწყებულია სისტემატიური სამხედრო პოლიტიკურ კულტურული აღმზრდელობითი მუშაობა. ახალწვეულთა შემადგენლობა გულმოდგინეთ ეკიდება სწავლის საქმეს, უფპოლიტშემადგენლობაც ხან მოკლე მზადების შემდეგ სხვა და სხვა სემინარებში, შეუდგა თავის მოვალეობის ენერგიულად და პირნათლად შესრულებას. ახალწვეულთა კარანტინში ყოფნისას ლეგიონში არსდებოდა სხვა და სხვა სემინარები.

ამ სემინარების დამთავრების შემდეგ ახალწვეულები დაყოფილი იქნენ ჯგუფებათ და სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები აწარმოებენ მათთან მეცადინეობას.

ამასთანავე ერთად ლეგიონში ჩატარდა და ტარდება, როგორც უფპოლიტშემადგენლობასთან, ისე წითელ არმიელებთან კამპანიები და საუბრები მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, რომელსაც უშუალოთ ხელმძღვანელობს ლეგ.სამხკომი. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ უფპოლიტშემადგენლობა ველარ ასდის დასწრებას, რადგან კრებების სხდომების და თათბირების რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

ახალწვეულების კარანტინიდან ასეულებში გადასვლის შემდეგ ჩატარებული იქნა ასეულებში საზეიმო კრებები, შემდეგ კი მთელი ლეგიონის მასშტაბით. ამ საზეიმო კრებაზე ახალწვეულებისაგან გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც მათ განაცხადეს, რომ მტკიცეთ დადგებიან მშრომელთა სადარაჯოზე.

**ვ ბურდულაძე.**

## ჩვენც ვმუშაობთ

**1-ლი ლეგიონის სამნეო ასეული.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გვეწვიენ ახალწვეულები ჩვენს ასეულში. კარანტინიდან გამოსვლის შემდეგ ახალწვეულებთან ერთად დავიწყეთ გაცხოველებული მუშაობა, რომელსაც მოუთმენლად მოელოდენ ახალწვეულები.

ახალ წვეული წ. ა. დიდის ხალისით შეხვდენ მუშაობას, განსაკუთრებით კი სამურზაყანოიდან ჩამოსული ახალგაზრდობა, რომლებიც უმეტესად უცოდინარები იყვენ. მეცადინეობა ხალისით მიმდინარეობს. სკოლის გარეშე მუშაობითაც დიდათ არიან დაინტერესებული და თითქმის ყველა ღებულობს მონაწილეობას შეძლებისდაგვარად სხვა და სხვა თვითმოქმედ ორგანიზაციებში როგორიც არის ავიოქიმ.ს, რემედასის, სამხკორთა და სხვა.

**ერ კუჭავა.**

## მიღწევები ჩვენც გვაქვს.

**1-ლი ლეგიონის მე-5 ასეული.**

ჩვენი ასეულის შემადგენლობა უმთავრესად ოსურია. ერთი შეხედვით ხელმძღვანელების უყოლობის გამო, რომლებსაც უნდა ესმოდეთ ოსური ენა, მუშაობა უნდა მოისუსტებდეს ნაწილში, მაგრამ პირიქით. დაძლეულია ყოველგვარი სიძნელენი. ასეულის პოლიტხელი ყველასათვის გასაგებ ენით აწარმოებს საუბრებს, სცდილობს ჩაითრიოს ყველანი საუბარში და გამოიწვიოს მათში ინტერესი.

ლამაზად მოგვიწყვეს ლენინის კუთხე, სადაც საკმაო რაოდენობით მოიპოვება ყოველთვის საჭირო ლიტერატურა და საშვალება გვეძლევა ფართოდ გამოვიყენოთ ის. სათანადო დარიგებებს ამის შესახებ ისევ პოლიტხელი გვაძლევს. ლენინის კუთხესთან სხვა და სხვა თვითგანვითარების წრეებიც არის დაარსებული. ასეულის წითელ არმიელები ყველანი ითვლებიან წრის წევრებად. ხშარად გვაჩვენებენ ჯადო ფარნით სურათებს.

სულ მალე სათანადო ცოდნას შევიძენთ ასეულში.

**წითელი ფერსათი.**

## ახალწვეულების შესახვედრი საზეიმო საღამო.

**1-ლი არტლეგიონი.**

1-ლ არტლეგიონის შემადგენლობამ ამას წინად მოაწყო, ახალწვეულების ყაზარმებში გადმოყვანის აღსანიშნავად საზეიმო საღამო. საღამოს სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრენ. გვეწვია აგრეთვე საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია.

დილიდანვე საზეიმოთ ირთვებოდა ლეგიონის კლუბი. დანიშნულ დროისთვის კი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი წითელარმიელებით სრულიად გაიჭედა დარბაზი. მოუთმენლად მოელოდენ საღამოს გახსნას.

პირველი მისალმებით გამოვიდა ამხ. სილია თოდრია. მთელი დარბაზი მქუხარე ტაშმა მოიცვა ძვირფასი ამხანაგის სცენაზე გამოსვლისთანავე. ამხანაგი დიდ ხანს ესაუბრა წითელარმიელებს მუშურგლეხური ქვეყნის მდგომარეობაზე, ვინ ვართ, რანი ვართ, რა მიზნებს ვემსახურებით, რა მნიშვნელობა აქვს შეგნებულ და სამხედრო საქმით კარგად გაწვრთნილ წითელ არმიას ჩვენი ქვეყნის შემდეგი განვითარებისათვის და მრავალი სხვა. ამხანაგმა მიულოცა ახალწვეულებს ყაზარმაში—წითელი ჯარის რიგებში შესვლა და იმედი გამოსთქვა, რომ ისინი გაამართლებენ თავის მუყაითობით, წითელარმიელის საპატიო სახელწოდებას.

მთელი დარბაზი განმეორებითი ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით შეხვდა ამხანაგს.

საპასუხო სიტყვებში, ახალწვეულებმა ფიცი დასდვეს, რომ პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებებს.

მისალმებების შემდეგ ნაწილის „ლურჯი ხალათის“ ჯგუფმა დასდგა წარმოდგენა და სატირა. დადგმული იქნა: 1) „მარში“, 2) „მოწინავე“, 3) „ბურჟუაზიული პრესა“, 4) პროფწიგნაკები, 5) კუპლეტები, 6) ხრიწაძის ხრო, 7) ცოცხალი მასალები გაზეთებიდან, 8) ჩანჩურა, 9) ჯარში და სხვა. საღამოზე უკრავდა ლეგიონის სამხედრო ორკესტრი.

**ა. არველაძე.**

## ჩვენი სამხედრო საქმიანობა.

**მე 6 ლეგიონი**

ჩვენი ლეგიონიც სამხედრო ხელოვნების გახმტკიცების საქმეს კარგა ხანია დიდი ყურადღებით მოეკიდა. უფპოლიტშემადგენლობის შორის სხვა და სხვა სამხედრო საკითხების მეცნიერული თვალსაზრისით განმარტება-გაშუქების, ცოდნის გაღრმავების და მასაში სამხედრო კითხვების გადატანის საქმეში მეთოდიური სისტემის შემუშავების მიზნით, ლეგიონში დაარსებულ იქნა სამხედრო სამეცნიერო წრე, რასაკვირველია, სათანადოთ მომზადებული 5 წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმის საერთო იდეური ხელმძღვანელობით. ნაწილის აღნიშნულ საზოგადოების პრეზიდიუმმა მართალია აიღო თავიდანვე მუშაობის სწორი კურსი და მოიწადინა ენერგიული საქმიანობა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გაამართლა ის ამოცანები და უახლოესი მიზნების საგრძნობი ნაწილიც კი, რასაც ჩვენ წინ გვიყენებს ტერსისტემის პირობებიდან გამომდინარე პრაქტიკული საკითხები. პრეზიდიუმმა მხოლოდ შესძლო მთავარ საკონპლექტო რაიონების სამხედრო კუთხეების, სამხედრო განყოფილებების ტეხნიკურად მოწყობა და წრის წევრთა შორის 12 ლექციის ჩატარება დღემდე; ეს არის და ეს. პრეზიდიუმმა ვერ შესძლო ისეთი საქმეების მოგვარება როგორიც არიან:

1. წრეში წითელარმიელთა და უმცროს მეთაურთა აქტივის ჩაბმა, წევრთა შორის ნებაყოფლობითი და შეგნებული მუშაობის წარმოება, პრეზიდიუმის მიერ ვერ მიექცა ჯეროვანი ყურადღება დავალებულ სხვა და სხვა დასამუშავებელ საკითხებს.

2) ამხანაგების მოხსენებები წრეში მოკლებული იყო ყოველგვარ წარმოებითი მეთოდს და თვალსაჩინოებას. მოხსენებები ტარდებოდა მშრალი, შაბლონიური—ლექციური სახით. ეს კი იწვევდა ისმენელთა საგრძნობი ნაწილის პასიურობას იმ დროს, როდესაც პრეზიდიუმს შეეძლო პოლიტ-შემადგენლობა გამოეყენებია. და წინასწარ, საწევრო გადასახადით შეძენილი ლიტერატურის წევრთა შორის ფართოდ გავრცელებით, რეკომენდაციით და მითითებებით მსმენელების დაინტერესება და მათი აქტიურობა გამოეცოცხლებია.

3. წევრები არ იყო მთლიანად დასაქმებული და მათს საერთო იდეურს ხელმძღვანელობის საქმიანობას ნაკლები გეგმიურობა ემჩნეოდა, რომლის შედეგიც ის არის, რომ წერტებზე. სამხედრო კუთხეებთან არსებულ სამხედრო წრეებში სპეციალურს სამხედრო საკითხების შინაარსიანად გადამუშავებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

საინტერესო არის ამ მხრივ, დეკემბრის 4-ს მოწვეულ ლეგიონის სამხედრო სამეცნიერო წრის კრებაზე, მოსმენილი პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენებაზე წრის წევრების გამოსვლები, რომლებმაც მრავალ დეფექტებზე მიუთითეს პრეზიდიუმს თავის მუშაობაში. კრებამ გამონახა ახალი გზები და პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გამოცოცხლებისათვის და მოუწოდა ახალგაზრდობას—მეტი თავდადებულობის, საქმიანი მუშაობის და სამხედრო სამეცნიერო წრის ამოცანები, ბრწყინვალედ დაგვირგვინებისაკენ.

**ანაშვილი.**

## „არ უნდა გექნა, ჩვენი მთავრობის ღალატი არ შეიძლება“

— ბიჭო, შენ და ვანო ერთად სავით სამსახურში და როგორ მოხდა, რომ ის უკვე წელიწად ნახევარია რაც სახლში დაბრუნდა, შეუდგა ოჯახურ მუშაობას, დაცოლშვილდა კიდეც და შენ კი ეხლა გაუთავისუფლებიხართ სამსახურიდან?—ეკითხებოდა მოხუცი მიხეილი თავის შვილს ტრიფონს, რომელიც სულ რამდენიმე დღე იყო, რაც სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულიყო.

— ეჰ, მამა ჩემო, ნეტავი სოფელი მაინც არ გაიგებდეს ჩემს შეცდომებს, თითით საჩვენებელი არ გავიდებოდე, თორემ იმას ვიტყოდა სხვა, რომ მეტ ხანს დავრჩი სამსახურში. თვალები ამეხილა, ეხლა მივხვდი, თუ რა საზიზღარი საქმე ჩავიდინე; მაინც როგორ ლმობიერად მომეპყრო ხელისუფლებაც და სასამართლოც.

— რა მოხდა ბიჭო, რა ჩაიდინე ისეთი, რომ აგრე ლაპარაკობ, ან ჩვენ რატომ არაფერი შეგვატყობინე?

— აი რა: სამსახურში რომ გამიწვიეს, ერთ-ერთ სამხედრო ერთეულში გამაგზავნეს და იქ უნდა მოვეხადა სავალდებულო ბეგარა. რავა გამიხმება ენა და რავა ვიტყვი, რომ ცუდათ გვეპყრობოდენ. უფროსები შეზრდილ ძმებსავით გვექცეოდენ, საჭმელი და სასმელი მშვენიერი გვქონდა, ტანსაცმელით კმაყოფილი ვიყავით და სისუფთავეზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია; წერა-კითხვის შესწავლა დაგვაწყებინეს, კლუბი და სკოლა შიგ ყაზარმაში მოგვიწყეს, ერთი სიტყვით ყველაფერი იყო; ჭკუაზე რომ ვყოფილიყავი, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ მოვტყუვდი... გადავეკიდე ულირს ამხანაგებს: შემომიჩდენ, გამაბრიყვეს, მეუბნებოდენ, რომ სამსახური ეხლა აღარ იმდენად სავალდებულოა, ხალხი მაინც ბევრია, წავიდეთ, გავიპაროთ, ვერც მოგვძებნიან, ვერც გვიპოვიან, სადმე სამსახური ვიშოვოთ, ჯამაგირი გვექნება,—ეს უფრო სასარგებლო და ხელსაყრელიაო. ბაქოზედ შეჩერდენ, იქ ნაცნობები გვყავს, სამსახურს გვიშოვნიან, ფულს შევიძენთ და ისე დავბრუნდებით სოფელშიო. შემაცდინეს, ახლად მიღებული ტანთსაცმელი გვქონდა, ნაწილი გავყიდეთ, ცოტა სახარჯო ვიშოვეთ, ერთ საღამოს მივატოვეთ ყაზარმა და გავემგზავრეთ ბაქოში. სამგზავრო ბილეთი არ გვიყიდია, მალულად ერთი მატარებლიდან მეორეში გადავდიოდით და ასე ვაი-ვაგლახით ჩავედით ბაქოში. ჩემი დამღუპველების ნაცნობები ბაქოში აღარ აღმოჩნდენ. დავიწყეთ ხეტიალი ქალაქში, უკან დასაბრუნებელი სახარჯო ფული აღარ გვქონდა, უბილეთოდ მგზავრობაც ველარ გავბედეთ ბაქოდან, რადგან იმდენი ვაი-ვაგლახი გამოვცადეთ აქედან მგზავრობის დროს; დავიწყეთ დღიური სამუშაოს ძებნა, დიდის გაჭირვებით ვშოულობდით, მეტ ნაწილად კი მშიერ-მწყურვალი ვეყარეთ; ასე გავატარეთ ოთხი თვე. ერთ დღეს სადგურში ვიყავით სუყველა, მოვიდენ მილიციის წარმომადგენლები და დაგვაპატიმრეს; თბილისიდან მოვიდა ცნობა, რომ დეზერტირები ყოფილხართო. თბილისში გადმოგვაგზავნეს და იქ დაამთავრეს გამოძიება ჩვენ საქმეზე. სამხედრო ტრიბუნალმა გაგვასამართლა და დეზერტირობისათვის თითო წლით გამასწორებელ სახლში ჯდომა მოგვისაჯა. სიკვდილი მერჩია იმ სიცოცხლეს, როცა დაპატიმრებული ჩემსავე ამხანაგ წითელარმიელს გამასწორებელ სახლისაკენ მივყავდი. სირცხვილით ვიწოდი და აბა როგორ უნდა მომეწერა თუ სადაც ვიყავი. ვიგრძენი ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე და ერთი წლით დაპატიმრება მსუბუქ სასჯელად მივიჩნიე. გავატარე ერთი წელიწადი იქ და შემდეგ დავბრუნდი ჩემსავე ნაწილში. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩემთან გაწვეულ ამხანაგებს უვადო შვებულებაში ითხოვდენ. ჩემმა სამხედრო უფროსმა მითხრა, რომ მე დათხოვნილი არ ვიქნებოდი, რადგანაც ის ოთხი თვე, რომელიც მე გაქცევაში გავატარე და ის ერთი წელიწადი, რომელიც გამასწორებელ სახლში დავყავი, თურმე, ნამდვილ სამხედრო სამსახურად არ შეიძლებოდა ჩამთვლოდა და სულ ახლად უნდა დამეწყო სამსახური და ამენაზღაურებინა დაკარგული დრო. აი რატომ მოხდა მამაჩემო, რომ თუმცა მე და ვანო ერთად წავედით სამსახურში, მაგრამ დაბრუნებით კი ის ჩემზედ ერთი წლითა და ოთხი თვით ადრე დაბრუნდა.

მოხუცი მიხეილი დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული და როდესაც ამ ამბის შთაბეჭდილებას თავი დააღწია, ამ სიტყვებით მიმართა შვილს: „არ უნდა გექნა, მე მოხუცებულმა კაცმაც კი გავიგე, რომ ეს მთავრობა ჩვენია, მისი ღალატი არ შეიძლება; არ უნდა გექნა, აწი მაინც იყავი ერთგული მთავრობისა და გამოისყიდე შენი დანაშაული.

— აწი კი, მაგრამ, რაც მოხდა ეს მძიმე ტვირთი იქნება ჩემთვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში,—სთქვა ტრიფონმა და სირცხვილით აწითლებულმა თავი ჩაღუნა.

**დ. ხიხაძე.**

### ასე არ უნდა ხდებოდეს

ქუთაისის სამხედრო საინჟენერო დისტანციამ დაუგზავნა გარნიზონის ნაწილებს ცნობა, რომ უფ-პოლიტშემადგენლობას ნისცემდა ის შეშას 32—35 მანეთში საჟენს. ლეგიონების სამნეო ნაწილებმა გადაგზავნეს ასეულებში ბრძანებები, შეედგინათ შეშის შეძენის მსურველების სია.

შეშის მიღება გვაცალეს და შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ საჟენი შეშა ღირს 47 მ. და 50 კ. ბაზარზე კი საჟენი შეშის შეძენა 30—32 მან. შეიძლება. რად ხდება ასე? შეღავათიც ამას ჰქვია! ვფიქრობთ ამას ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს.

**მეთ ლომთაძე**

# წითელი არმიის და ფლოტის სახლში

ზედმეტია ლაპარაკი იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს წითელ არმიის და ფლოტის სახლს წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობისათვის.

სახლი წარმოადგენს იმ ცენტრს, სადაც იჭედება მეთაურის და წითელ არმიელის კულტურული სახე. სახლი უწევს დიდ დახმარებას მეთაურს და პოლიტმუშაკს მრავალ მეთოდიურ და სახელმძღვანელო მასალის მიწოდებით ყველა დარგში. ცხადია ყველასათვის, რომ ამ მხრივ ჩვენ ძალიან მოვიკოჭლებთ.

ამასთანავე სახლი აკავშირებს ერთი მეორესთან სხვა და სხვა ნაწილების წითელ არმიელებს და მეთაურებს.

წითელ არმიის და ფლოტის სახლს დღევანდლამდის არ ჰქონდა საშვალება გაეფართოებია თავისი მუშაობა, ვინაიდან მას არ უწყობდა ხელს შენობა. წრეულს კი სახლს აქვს თბილისის ერთ ერთი საუკეთესო შენობათაგანი და მისი სამუშაო გეგმაც გაფართოებულია. საკუთარი სათეტრო დარბაზი, კინო, პოლიტგანათლების მუშაკის და სამხედრო პროპაგანდის კაბინეტები, მდიდარი ბიბლიოთეკა და სამკითხველო, მრავალი დასასვენებელი ოთახები სხვა და სხვა გასართობებით—ყველა ეს აძლევს საშვალებას მეთაურებს და პოლიტმუშაკთ სარგებლიანათ გამოიყენოს თავისუფალი დრო.

ყველა კაბინეტებში მრავლად არის მეთოდიური და სახელმძღვანელო მასალა ქართულ ენაზე. ბიბლიოთეკას აქვს რამოდენიმე ათასი ქართული წიგნი ყველა დარგებიდან, სამკითხველოს მოსდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები. ყოველ კვირა სათეატრო დარბაზში ეწყობა ქართული წარმოდგენები.

მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენი მეთაურები და პოლიტშემადგენლობა ვერ სარგებლობს ყველა ამით. ამას უნდა მიექცეს ჩვენი ნაწილების მიერ განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი მეთაურები, პოლიტმუშაკნი და წითელ არმიელები უნდა გადაიქცნენ სახლის ხშირ სტუმრებათ. უნდა ვეცადოთ, ყველა ჩვენგანი გახდეს სახლის წევრი და მიიღოს მის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა.

ყველა ნაწილს, თბილისში მდგომს, ყოველ კვირეულათ ეგზავნება სახლის სამუშაო გეგმა; ნაწილებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ეს გეგმა ფართედ გააცნონ ნაწილის ყოველ წევრს.

ჩვენ მიერ დიდი დანაშაული იქნება, თუ სავსებით არ გამოვიყენებთ ყველა იმ უამრავ მასალას, რომელსაც იძლევა წითელი არმიის და ფლოტის სახლი.

ი. ზ.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### უსუფთაობა უნდა მოისპოს

მე-2 ლეგიონის სამნეო ასეულის სამზარეულოში უსუფთაობას აქვს ადგილი. ქურა ჩანგრეულია. ქვაბები ყელამდე იდგმება ცეცხლში. ამოდის კვამლი და ავსებს სამზარეულოს. ცეცხლის ალის გამო დამზადებულ სადილს ხრაკის სუნი ასდის და გული არავის მიუდის ჭამაზე. როდის უნდა მოაგვარონ ეს საქმე?

კელმეჩუელი.

### შაქარსა და პურს არ გვიუენებენ თაგვები.

მე-5 ლეგიონის ყველა ასეულების ყაზარმებში აკრძალულია რომ წითელ არმიელებს თან ჰქონდეთ ყუთები საკუთარი პურისა და შაქრის შესანახად.

ამ გარემოებას ის მოსდევს შედეგათ, რომ პური და შაქარი ცელარსად შეგვინახავს, თაგვები არ გვიყენებენ. ფანჯრების თაროზე დებით პური ხმება და ჭუჭყიანდება საჭიროა პურის და შაქრის შესანახად ერთ ადგილს მაინც მიგვიჩენდენ.

კ. ხ

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ სენაკის მაზრის სოფ. სამიქაოს ქოხ-სამკითველოსათვის გაზ. „წითელ არმიელს" სამი თვით 1 ცალს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს 1-ლ ლეგიონიდან, რათა მათაც გამოუწერონ აღნიშნული გაზეთი თავიანთ სოფლებს: თადეოზ სასანიას, იონა ლოგუას, კოსტა ქაჯაიას, კირილე მელაშვილს, მათე ვაშაკიძეს, იაკინთე ვეფხვაძეს, მ. ჯანგულაშვილს და ისიდორე სილაგაძეს.

1 ლ. მეორე ასეულის მამასახლისი **მიქაძე.**

**1-ლი ლეგიონის მე 3 ასეულის** წითელ არმიელები ვიწერთ 2 ცალს გაზ. „წითელ-არმიელს" ამავე ლეგიონის მე-9 ასეულის წითელ არმიელთა გამოწვევის თანახმად და ჩვენი მხრით ვიწვევთ 1-ლი ლეგიონის პირველი, 2, 5 და 6 ასეულის წითელ არმიელებს, რათა მათაც მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

ამხანაგებო, გამოიწერეთ და შეუწყვეთ ხელი ჩვენი ინტერესების დამცველსა და ყოველ დღიურ—ყოფა-ცხოვრების გამშუქებელ გაზ „წითელ არმიელის" გავრცელებას.

მე-3 ასეულის **წითელ არმიელები**

**1-ლი ლეგიონის მე 2 ასეულის** წითელ არმიელთა შემადგენლობა ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს" 6 ცალს ექვსი თვით და ვიწვევთ ამავე ლეგიონის 3 ათასეულის მთელ შემადგენლობას.

გამოეხმაურეთ ამხანაგებო ჩვენს მოწოდებას, გავავრცელოდ ჩვენი გაზეთი.

მე-2 ასეულის **წითელ არმიელები.**

# პასუხი შეკითხვებზე

— გიორ—ანს. თანახმად ახალი საბინაო ტარიფისა, დამტკიცებული სამხკომსაბჭოს მიერ 19 ოქტომბერს 1926 წ. თქვენ ბინის ქირად თითეულ კვადრატულ არშინზე იხდით რვა კაპეიკს 15 პროცენტის დაკლებით როგორც სამხედრო მოსამსახურე (მუხ. 6,) თუ სახლის პატრონი ქირას არ ღებულობს შეგიძლიათ შეიტანოთ ხაზინაში დეპოზიტში

— ხელაიას. ვინაიდან თქვენ ოჯახში სარჩენი არავინ დაგიტოვებიათ, ამიტომ არ სარგებლობთ არავითარ ოჯახურ შეღავათებით.

— ნიკოლაიშვილს. უფროს მეთაურზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა იქნეთ განთავისუფლებული.

— მაზანეიშვილს. ომში დაკარგული ძმის შესახებ უნდა მიმართოდ ბიუროს ლენინგრადი, ნადეჟდენის ქ. № 10.

— ვ. გ. წაიკითხეთ ნიკოლაიშვილის პასუხი.

— წითელს. შეუძლიათ.

— პაპიაშვილს. პოლიტსაათ მეცადინეობის დროს არ არის სავალდებულო ძახილის გაცემა.

— ლომთაძეს. ბინის ქირად იხდით იმდენს, რაც გადაწყვეტილი აქვს ქუთ. ალმასკომს. სასამართლოს არ შეუძლია იმაზე მეტი მოგისაჯოს. სახლის პატრონი თუ ქირას არ ღებულობს უნდა შეიტანოთ ხაზინაში დეპოზიტში.

— დ. ლომთაძეს. შეგიძლიათ მხოლოდ დივიზიის უფროსის ნებართვით.

— მასვე. ასეულის მეთაურის ჯამაგირი მიღება შეგიძლიათ—მხოლოდ დღიდან ბრძანებაში გატარებისა.

— ნიკოლაიშვილს. გამსახლში გატარებული დრო არ ჩაგეთვლებათ სამსახურში, ამიტომ თქვენ წახვალთ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად შვებულებაში.

— ტატოიანცს. მიმართედ ნაწილის საშუალებით მთავარ მიმღებ კომისიას.

— ვ. უ. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

— ვ უ—ძეს. თმა მოკლედ უნდა გქონდეთ შეკრეჭილი.

— სალუქვაძეს. თუ ის ისეა, როგორც თქვენ იწერებით, მაშინ თქვენ სარგებლობთ პირველი ხარისხის შეღავათებით. ნაწილის საშუალებით მიმართედ მთავარ კომისიას.

— სულორელს. დაკმაყოფილებული უნდა იქნეთ დღიდან ბრძანებაში გატარებისა დათხოვნის შესახებ.

— მ. ს—ძეს. საოჯახო ულუფას ღებულობენ ის მოსამსახურენი, რომლებიც ჯამაგირს იღებენ ექვს გარისხამდი.

— მეხადურიშვილს. მოხალისეთა მიღება წ. არმიაში შეჩერებულია.

— დიასამიძეს. გარკვეულად მოგვწერეთ თუ რას გვეკითხებით, განთავისუფლებაზე კითხულობთ თუ ზედმეტ მსახურად დარჩენის შესახებ.

— ბაბილუას. ფულის მოთხოვნა შეგიძლიათ სასამართლოს წესით.

— ბ—ს. კოოპერატივიდან გერგებათ ორი კვირის ჯამაგირი.

— მასვე. დამზღვევ სალაროდან ჯარში გაწვევის ერთი თვის შემდეგ დახმარება არ მოგეცემათ.

— მსურველს. სამხედრო—ტოფოგრაფიულ სკოლაში შესასვლელად საჭიროა პირველი საფეხურის სკოლის კურსის ცოდნა.

— ა. რ. ნორმალურ სკოლა უნდა გქონდეთ გათავებული.

— ტარასიძეს. არტსკოლაში შესასვლელად საჭიროა პირველი საფეხურის სკოლის კურსის ცოდნა.

— მაკალათიას. არ გეკუთვნით.

— ტურიაშვილს. ეხლავე უნდა აღძრათ შუამდგომლობა ნაწილის წინაშე სკოლაში შესვლის შესახებ.

— გურიაშვილს. შვებულება წელიწადში ერთხელ გეკუთვნით.

— გამხარაშვილს. გადაყვანილი არ იქნებით.

— კაკალიძეს. შეშას უფასოდ ვერ მიიღებთ.

— ნადარეიშვილს. თქვენ რომ რევსამხსაბჭოს ბრძანება გაინტერესებთ იმის ნომერი არის 1724—24 წ.

# ჩვენი ფოსტა

**ო. სადმელელს.** თქვენი კორესპონდენცია—„ასეთი მეცადინეობით შორს ვერ წავალთ" გადაეცა დივიზიის აგიტპროპს სათანადო ზომების მისაღებათ.

**ერ. კუჭავას, ქ. კეჟერაშვილს, მინაშვილს, ა. ჩიქობავას.** თქვენი კორესპონდენციები ახალწვეულების მიღების შესახებ მეტად მოძველებულია. ასეულში თითეული მოვლენის შესახებ უნდა სწერდეთ თავის დროზე. მოძველებული ამბები არავისათვის საყურადღებო არ არის.

**დ. ჰანკვეტაძეს.** საერთო წესით ტანსაცმლისათვის საჭირო მასალა უნდა დარიგებულიყო ისე, როგორც თქვენს ნაწილში მომხდარა. ასეთი არის უმაღლეს ორგანოების ბრძანება.

**წ. არმიელს.** — „ახალწვეულებთან ყოველ საღამოობით ტარდება საუბრები ლენკუთხეებში. ამხ. ძლიერ დაინტერესებული არიან, იძლევიან შეკითხვებს. ვაწყობთ დეზერტირის გასამართლებას, ახალწვეულები მონაწილეობას ღებულობენ გასამართლებაში. ასეთი ზოგადი ფრაზებით არის სავსე თქვენი კორესპონდენცია, რაც არავისათვის საინტერესო არ არის. საჭიროა აღნიშნოთ, როგორ შეკითხვებს იძლევიან ახალწვეულები საუბრების დროს და რას ამბობენ, როგორი წინადადებით გამოდიან დეზერტირობის შესახებ. ამ სახით წერილი არ გადის.

**ლორის.** თქვენი კორესპონდენცია სწავლის დაწყების შესახებ გადაეცა დივიზიის შტაბს.

**ა. ცისკარავას.** თქვენი წერილიც 1-ლ დივიზიის შტაბს გადაეგზავნა სათანადო ზომების მისაღებათ.

**კ. პარკაიას, ი. ვადაჭკორიას, ი. ელიაშვილს და სვენელს.** თქვენი წერილები არ გადის. მოიწერეთ ნაწილის მუშაობის შესახებ, ზოგადი ხასიათის წერილები ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარია.

**ახალწვეულს.** სამხედრო წესდების ძალით თქვენ ჯერ-ჯერობით არ გეკუთვნით შვებულება. ამის შესახებ ყველაფერი იციან ნაწილის უფროსებმა და დაწვრილებით აგიხსნიან შვებულების უფლებით სარგებლობის შესახებ.

**მეთვალყურა ი—ს-ს და საკავშიროს.** თქვენი კორესპონდენცია კარგი იქნება ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის.

**მხედარს.** თქვენს წერილში ბოლს სდებთ მამასახლის შეუფერებელ სიტყვა პასუხისათვის, მაგრა ერთი შემთხვევაც არ მოგყავთ, თუ როგორი სიტყვებით უმასპინძლდება ის წითელ არმიელებს. საჭიროა აღნიშნოთ ფაქტი. ისე წერილი არ გადის.

**ხობისპირელს, მეძველიას და წყაროს თვალს.**—თქვენი კორესპონდენციები ახალწვეულების შესახებ მოძველებულია. არ გადის.

**ვ. მჟელაძეს.** სწერეთ მელნით და ქაღალდის ერთ გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

**კ. როყუას.** ახალწვეულებთან მუშაობის ფორმების შესახებ წერილი იყო თქვენი ნაწილიდან. მეორედ არ დაიბეჭდება.

**ვ. ცქვიტიას.** კორესპონდენცია წარმოდგენის შესახებ არაფერს იძლევა საინტერესოს. არ გადის.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-5 ლეგიონის 1 ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს უნცროს მეთაურს გრიგოლ კოპალეიშვილს განცხადება კომკავშირიდან პარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამხანაგის მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულ უჯრედში.

**დაიკარგა** ს.კ.პ.-ს საკანდიდატო მანდატი № 25.. კონსტანტინე არჩილისძე დევაძის სახელზე გაცემული 1-ლ დივიზიის პარტკომისიის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# უცხოეთის არმიებში

## ჩვენი მეზობლების არმიები

### მათი ძალა, შეიარაღება და საბრძოლო თვისებები

ადრე იქნება თუ გვიან ჩვენს წითელ არმიას მოუხდება შეტაკება ბურჟუაზიული ქვეყნების არმიებთან და პირველ რიგში ჩვენი მეზობლების—პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ესტონეთისა და ლატვიის არმიებთან. ამიტომ საჭიროა დღესვე გავეცნოთ იმ არმიების ბრძოლის უნარიანობას, რომლებთანაც ჩვენ მოგვიხდება შებმა.

### პოლონეთის ჯარისკაცი—სერიოზული მოპირდაპირეა

უფრო საშიშ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს პოლონეთი. მას ჰყავს ძლიერი, სავსებით თანამედროვე ხმელეთის არმია 325 ათასი მეომრის რაოდენობით.

პოლონეთის არმია კარგადაა შეიარაღებული, მეტ ნაწილად ფრანგული იარაღით. თითქმის მთელ არტილერიაში ფრანგული ზარბაზნებია; ქვეითი ჯარი შეიარაღებულია მაუზერისა და ფრანგული შაშხანებით; ზოგიერთ ნაწილებში ჯერ კიდევ დარჩენილა ჩვენი შაშხანები. ტყვიამფრქვევებიდან აქვთ მაქსიმი, კოლტი, შვარცლოზე, ლუისი, ბოში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის ჯარისკაცს კარგი ტაქტიკური მომზადება აქვს. რაც შეეხება სროლას, პოლონეთის ჯარისკაცი ვერაა მაინც და მაინც ძლიერი და ამ მხრივ ადგილს უთმობს ფინეთის, ესტონეთის და ლატვიის ჯარისკაცებს, სჯობნის მხოლოდ რუმინელებს.

რაც შეეხება საჰაერო ფლოტს, პოლონეთის გამანადგურებლებს შეუძლია შეტევითი ბრძოლის წარმოება 30—50 ვერსის კედართი. ყუმბარმზიდებს შეუძლიათ აიტანონ არა ნაკლებ 15 ათასი კილოგრამ ბომბისა და ამ ტვირთით შევიდენ 300 ვერსით მტრის ზურგის სიღრმეში, ხოლო თუ ტვირთს შეუმცირებენ—600 ვერსითაც.

### რუმინელები სუსტი მეომრებია.

რუმინეთის არმია (123 ათასი კაცი) თავისი საბრძოლო თვისებებით ძლიერი არაა. შეიარაღება მეტად მრავალმხრივია, მომარაგება ცუდად სდგას, ჯარისკაცის საბრძოლო მომზადება დაბალია.

საჰაერო ფლოტს შეუძლია მხოლოდ მოგერიება. ყუმბარმზიდები მოძველებულნი და აქტიური მოქმედება აღარ შეუძლიათ.

აი რატომ დაივალა საფრანგეთმა მისცეს რუმინეთს ომის შემთხვევაში 200 თვითმფრინავი და 50 მფრინავი.

### ფინელები კარგი მსროლელებია

ფინეთს ჰყავს 33 ათასიანი არმია. შეიარაღება რუსული გვარისაა. დამახასიათებელია მცირე რაზმებად მომზადება, სატყეო და საზამთრო ბრძოლებისთვის. მაღლა სდგას სასროლო მომზადება. ფინელები საუკეთესო მსროლელებია. საჰაერო ფლოტი სუსტია.

### ლატვიელები და ესტონელები

ესტონეთისა (14 ათასი) და ლატვიის (22 ათასი) არმიები თვისებით ერთ დონეზე სდგანან. შეიარაღება ინგლისურია. ცალკეული მომზადება მაღლა სდგას. ლატვიელები ესტონელებზე კარგი მსროლელებია. საჰაერო ფლოტი სუსტია. უნდა აღინიშნოს არმიების მორალური მდგომარეობა.

### ტანკები.

უკანასკნელ ხანებში ჩვენმა მეზობლებმა გამოიჩინეს გაძლიერებული ყურადღება ტეხნიკის საკითხებისადმი. პოლონეთი და ფინეთი სასწრაფოდ ადიდებენ ტანკებისა და ჯავშნოსნების რაოდენობას. პოლონეთს ჰყავს 200 მდე ტანკი, 500-მდე ჯავშნოსნები. ფინეთს ჰყავს 32 ტანკი.

### სამხედრო ქიმია

პოლონელები დიდ ყურადღებას აქცევენ ქიმიურ მრეწველობას. წლეულს ზაფხულზე ჩატარებულ იქნა სამი თათბირი სამხედრო მრეწველობის საკითხებზე, სადაც უმთავრესი ყურადღება მიექცა ქიმიურ დარგს.

### ხარჯები არმიაზე.

ხარჯებს არმიაზე თანდათან ადიდებენ ჩვენი მეზობლები. რუმინეთი 1922 წელში ხარჯავდა არმიაზე 7 მილიონ ნახევარ დოლარს, 1926 წელში კი—15 მილიონ 200 ათასს; ლატვია 1923 წელში 5 მილიონ ნახევარს, 1926 წელში კი—9 მილიონს.

პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულება საკმაოდ გვეუბნება საშიშროების შესახებ: ვემზადოთ, რათა მუდამ მზათ ვიყოთ.

ხ—ი.

ნ. დ. ს. ც. ალმასკომის სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.